კვირა 6 სექტემბერი 1915 წ.

წ. I.

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დაბა-ტებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 170 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 170

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

მამა ერმალოზ მოსეს ძე, და დედა მარიამ დავითის ასული ცქიტიშვილები გულდადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 4 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ქალიშვილი

ე ლ ე ნ ე.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს ხუთ საათზე, პეტრე პავლეს ქუჩა, საკუთარი სახლი.
დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 8 სექტემბერს. 2—1

მეუღლე ელისაბედი (მზეხა), შვილები: ბექანი, ლეო და თამარი; ძმა მღ. ლუკა; დები: ქეთო და ბაბილინა; რძლები: ნატალია, ანტონინა და სალომე; შვილიშვილები: შუშანიკა, დარეჯანი და არჩილი; სიძეები: ნესტორ ელიაძე, ვარლამ იმნაძე და მასიკო არდაბელიძე უგულითადეს მადლობას სწირავენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობართ და ყველა იმ პირს, ვინც

ვასილ სოფრომის ძის ხუნდაძის

გარდაცვალების გამო პირადი დასწრებით, თუ წერილობით თანაგრძნობა გამოუცხადა მათ. 1—1

გაუბედურებული შვილები: ანნა, სერაფიმა ქურდიანისა, ეკატერინე, ნინო, სიძე აზ. ვლადიმერ თათარხანის ძე ქურდიანი, ძმა მღვდელი გრიგოლ ბოჭორიშვილი, რძალი და ძმისწულები: ქუქუნა, შვილები მისი შალვა, თამარა, ბიძინა, ირაკლი და ნინო, დები: მაკრინე ქარსელაძისა ქმარშვილით, ქრისტინა ბენდუქიძისა ქმარშვილით, ქვისლები და ცოლის დები: მღ. ერასტი გაბიჩვაძე, დეკ. ნიკოლოზ ფრუიძე, მღ. ანტონ გოლეთიანი, ელისაბედი გაბიჩვაძისა, ალათი ფრუიძისა და ქსენია გოლეთიანისა ვაუწყებთ ნ თესავთ, ნაცნობთა და მეგობართ გარდაცვალებას დაუვიწყარის მღვდლის

ვლადიმერ გაბრიელის ძის ბოჭორიშვილისას,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა დანიშნულია 6 სექტემბერს, დღით კვირას, სოფელ ჭყვიში (ლეჩხუმის მაზრა).

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი
8 მაისიდან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი და ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდი.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ.
თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა ლორთქიფანიძის სახლი. თვ

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახ ს ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი
ხუთშაბათიდან, 3 ენკენისთვიდან, მხოლოდ 2 დღით ახალი პროგრამა.
პატე ჟურნალი. № 231 თანამედროვე ცხოვრებიდან.
სენსაციური პიესა სეზონისა. სვამდა ღვინოს და ხარხარებდა.
თანამედროვე დრამა ოთხ ნაწილათ. გამოჩენილ არტისტების ბ.ბ. ივანიკოვის, იანუშევის, ბაკშეევისა და იზვოლსკის მონაწილეობით.

ანონსი: სამშაბათიდან ნაჩვენები იქნება გაგძელება მილიონების გიშნოზის ქვეშ მე 3 ე და მე 4-ე სერია.

მოსკოვის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში კურს დასრულებული ვეძებ მასწავლებლის ადგილს ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში. სპეციალურათ შესწავლილი მაქვს,

ქალთა ტანისამოსის ჭრა-კერვისა და სხვა და სხვა ხელსაქმე.

მაქვს სათანადო მოწმობა და ატესტატი მოსკოვის სახელოსნო გამგეობისაგან. ვიყვან აგრეთვე მოწაფეებს. სახლში მისამართი: კაზაკოვის ქუჩა სახლი კიკვიძისა. 6—1

ქ. ქუთაისი.
ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა
ლებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ნ საღ. 5—6 ს.
ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

დ. ყვირილაში სამოსწავლო მთავრობის ნებართვით, ყუბარაძის სახლში
გაიხსნა მოსამზადებელი სასწავლებელი,
სადაც მომზადდებიან ბავშები ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლისათვის: გიმნაზიის, რეალურის, კომერციულისთვისა და სხ.
ფასი ოცი მანეთიდან წელიწადში. სტუდენტი ვარლამ ფერაძე. 14—11—963

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს არითმეტიკაში ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში. ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—2

ახლად დაარსებული საზოგადოების „სინათლის" მიერ 9 სექტემბერს
გაიხსნება ქ. ქუთაისში ქალთა ქართული სასწავლებელი
(ორი მოსამზადებელი და პირველი პროგიმნაზიური კლასი).
მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც. 7—6

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## კავკასიის ჯარების შტაბისაგან.

**თბილისი.** 4 ენკ. ზღვის ნაპირა რაიონში სროლაა. ოლთინის გზით შეტაკება მოუხდა ჩვენს მზვერავებს ოსმალებთან. ვანის გზით ჩვენს რაზმს ბრძოლა ჰქონდა ოსმალებთან სოფელ ანგესთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისაგან. 3 სექტემბერი. ოფიციალური. დვინსკის სამხრეთ დასავლეთით გერმანელებმა ბევრჯერ მიიტანეს იერიშები დვინსკის შარა გზასა და სამავას ტბის შუა. მაგრამ მავთულებიან ხლართებთან მოგერებულ იქნენ. გერმანელების ცხენოსანთა წვრილმანი რაზმები გამოჩნდნენ მოლოდეჩნო-პოლოცკის რკინის გზის რაიონში. ვილნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა შესძლო მდ. ვილიას მარცხენა ნაპირას გადასვლა. ორანის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელები სცდილობენ მდ. ვერსოვკაზე გადასვლას, რომელიც ერთვის მერეჩანკას სოფ. ეისმონტთან. ჩვენმა ჯარმა მტერი უკუაგდო მდინარისაკენ. პინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკან იხევს მტრის შემოტევის გამო; ქვედა სტოხოდზე მოგერებულია მტრის შემოტევა უგრინიჩის წინააღმდეგ. დერაჟნოს რაიონში და აგრეთვე გალიციის პირის სხვა და სხვა ადგილებში მტრის კონტრ-იერიშები გრძელდება; დამარცხებული მტერი სცდილობს ამ კონტრ-იერიშებით თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაში მისი თავგანწირული ცდა მხოლოდ წვრილმანი უმნიშვნელო გამარჯვებით ბოლოვდება; ჩვენი ჯარი განაგრძობს თავის საქმის შესრულებას; სოფ. პენდიკის (დერაჟნოს რაიონი) დასავლეთით მომხდარ ბრძოლის დროს ჩვენ დავატყვევეთ 410 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიისმტყორცნელი. სოფ. დერაჟნოსთან არყის სახდელ ქარხნისა და სასაფლაოს დაპყრობის დროს ტყვედ წამოყვანილია 700 ჯარისკაცი; ხელთ ვიგდეთ აგრეთვე 4 ტყვიისმტყორცნელი. მტრის გაფთრებული იერიშ-

ბი მოგერებულ იქნა; მოსაზღვრე სოფლებ ოლექსინეც და ვიშნევეცთან, აგრეთვე სტრიპაზე ტარნოპოლ-ტრემბოვლის ხაზის დასავლეთით ბევრ ადგილას სასტიკი ბრძოლა გრძელდება ფონებზე შეჩერებულ მტერთან.

შენიშვნა: 30 აგვისტოს ვენის ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ ჩვენ უკან დაგვახევიეს ტარნოპოლის ტეტდენ პონთან და ვითომც ტარნოპოლთან ჩვენ დიდად დავზარალებულიყვეთ. ამ ზარალის გამოანგარიშებისათვის მტერს არავითარი საბუთი არ ჰქონდა მარტო იმიტომაც კი, რომ 28 და 29 აგვისტოს ბრძოლების შემდეგ ტარნოპოლის დასავლეთით ბრძოლის ველი ყოველთვის ჩვენ გვჭერია, შემდეგ დღეებში კი, მიუხედავად მოსწრებულ მაშველი ჯარისა, მტერი უკუგდებულ იქნა ტარნოპოლიდან დასავლეთით სოფ. გალიადკისა და ცერბავისაკენ, ნაწილი კი მდ. სტრიპას ხაზს იქით.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 4 ეკენ. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში, აგრონსა და სუშეს შუა და არასის სამხრეთით ჩვენი ბატარეია უპასუხებდა რა გერმანელების ბატარეიას, ძლიერ ცეცხლი დაუშინა მოპირდაპირის სამუშაო პუნქტებს. სომსა და ენს შუა მტერი მძიმე საველე ზარბაზნებით გვიშენდა ყუმბარებს, რასაც ჩვენ მარჯვეთ ვუპასუხებდით. სენმიელის რაიონში მდინარე ენსა და აგრონებს შუა საარტელერიო ბრძოლა გრძელდება მთელი ღამის განმავლობაში. დანარჩენ ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

## ღამის ოფიციალური ცნობა.

ნიუვორის სექტორში ჩვენი არტილერია მოხერხებულად ესვროდა მტრის პოზიციებს. ნევილ-როკლენკურის რაიონში და არასის მიდამოებში და აგრეთვე ავრასა და შუა მდებარე ადგილებში ჩვენი ბატარეია უპასუხებდა მტრის ბატარეიას, რომელიც მძლავრად უშენდა ჩვენს პოზიციებს. სეპინიელს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება ენსა და მარნას შემაერთებელ არხზე. ენსა და არგონებს შუა საარტილერიო ბრძოლაა სხვა და სხვა კალიბრის ზარბაზნებით. სენტიუვერგთან რამდენჯერმე განახლდა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც ვხმარობდით ხელით სასროლ ყუმბარებს. ბრძოლის დროს გვეხმარებოდა ლეპრატის ტყიდან ჩვენი არტილერია. საველე არტილერია ძლიერ ცეცხლით უპასუხებდა გერმანელების ყუმბარებს. ჩვენმა ბატარეიამ თავისი ძლიერი ცეცხლით გაანადგურა მტრის სიმაგრეები ლოტარინგიასა, სეილსა და ნუტრეში.

**ლონდონი.** 4 სექტ. საადმირალო იუწყება, რომ მტრის ცნობა — შესახებ წყალქვეშა ნავის დაღუპვისა დარდანელში, და სამი ოფიცრისა და 25 კაცით ტყვეთ წაყვანისა — სიმართლეს ემსგავსება, რადგან 24 აგვისტოდან არავითარი ცნობა არ არის ნავზე.

**ათენი.** 3 სეკტ. კერძო ცნობებიდან იუწყებიან, რომ უკასასკნელ კვირაში კონსტანტინოპოლში ყოველ დღე ჩამოდის 200 გერმანელი აფიცერი და ჯარის კაცები სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი.

**ათინი.** 3 სექტემბერი. გუშინ სოფიაში გაემგზავრა გერმანიის სამხედრო ატაშე. აგრეთვე სამხედრო ატაშე-გერმანელი ელჩი კონსტანტინეპოლიდან იქ მიემგზავრება. სოფიაში ორივენი შეხვდებიან ბუქარესტის სამხედრო ატაშეს, სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ უბრძანა სამხედრო ატაშებს სოფიაში შეკრება ავსტრო გერმანიის ჯარის სერბიაში შეჭრის საკითხის გადასაწყვეტად.

**ლონდონი.** 2 სექტემბერი. ფრენჩი იუწყება, რომ საარტილერიო სროლა წარმოებდა არმანტერის აღმოსავლეთით იპრის რაიონში.

მტრის სამი ჰაეროპლანი გამოჩნდა ჩვენს ბანაკზე, ორი მათგანი ჩვენმა არტილერიამ მოიგერია.

უკანასკნელ კვირაში გერმანიის ხაზებზე საჰერო ბრძოლა მოხდა. 21 შეტაკებაში 11 მოვიგერიეთ.

**სოფია.** გაზეთი „პრეპორეც“-ი აცხადებს 50 გამოჩენილი მოქალაქის ხელის მოწერით, რომელთა შორისაც რამოდენიმე უკვე დაატუვევე', რომ ბულგარეთი განსაცდელშია. ყველასათვის ცხადია, რომ ოსმალეთთან შეთანხმების შემდეგ, მთავრობა უცდის მოხერხებულ მომენტს სამშობლოს ომში ჩასაგდებლათ გერმანიის ინტერესებისათვის;

ბულგარეთი უნდა გამოვიდეს, როგორც ერთი კაცი მთავრობის წინააღმდეგ, რომ თავიდან აიშოროს დამღუპელი ომი. საჭიროა მოვიწვიოთ ხალხის წარმომადგენელნი ხალხის ხმის გასაგონათ.

გაზეთი პრეპორეცი დაიხურა.

**ხარბინი.** 3 სექტემბერი. ჩვენს მოხალისეთა რაზმს ხუნხუზების ძებნის დროს სადგურ სილინხესთან სროლა აუტეხეს, ჩინეთის ჯარის კაცებს. რომელმაც დამალეს ხუნხუზები.

ჩინეთის კამანდას ნაბრძანები ჰქონდა იარაღის დაყრა, მაგრამ ამაზე ჩინელებმა სროლით გვიპასუხეს, მოკლეს სამი ჩვენი ჯარის კაცი, დასჭრეს 5 კაცი და ორი აფიცერი.

**გელსინგფორსი.** სპეციალურმა კომისიამ სენატის თავმჯდომარის ამხანაგის თავმჯდომარეობით მოხსენება წარუდგინა ფინლიანდიის სენატს, რომელშიაც ამტკიცებენ შუამავლობის საჭიროებას საწერქაღალდის მექარხნეების კავშირთა — მიერ რომ რუსეთისაგან ბეგარის გადიდება ფინლიანდიის ქაღალდზე ყოველს საფუძველს მოკლებულია, რადგან ომის გამო ფინლიანდიის საწერ ქაღალდის მექარხნეები ცუდს პირობებში ჩავარდენ, სენატმა აგრეთვე გამოთქვა აზრი ბეგრის გადახდის წინააღმდეგ.

**პეტროგრადი.** 3 სექტემბერი. გამოქვეყნდა სენატის მიმართ ბრძანება, რომ გავრცელებულ იქნას განსაკუთრებული ზომების მიღება სახელმწიფოში მშვიდობიანობის დასაცველად იმპერიის ზოგიერთ ადგილში 4 სექტემბრამდე 1916 წ. დარჩენილი იქნება განსაკუთრებული ზომების მიღება 4 მარტამდე 1916 წ. იმპერიის იმ ნაწილებში, რომელიც არ იმყოფება სამხედრო საალყო მდგომარეობაში, რომლის უფლება რჩება კავკასის მეფის მოადგილეს.

**პეტროგრადი.** მინისტრთა საბჭომ ნება დართო მიეცეს გზათა მინისტრს 10 მილიონი სახელმწიფო რკინის გზის ექსპლოტაციის ხარჯების დასაფარათ, რომელიც გამოწვეულ იყო 1914 წ. ომიანობისაგან,

# ომი და ზავი.

## ცეპელინები რუსეთზე.

მინსკიდან მოსკოვის გაზეთებს დეპეშით აუწყებენ, რომ სადგურ ნოვოვილეისკზე ცეპელინმა გადაიფრინა და 20 ყუმბარა ჩამოაგდო მოკლულია დოქტორი რიტტი თავისი ქალიშვილითურთ. (კ. ს.)

## გამარჯვების იმედი.

„ნოვოე ვრემია“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს, რომ რუსეთის ფრონტზე გერმანელების სტრატეგული ვითარების შეფერხება და ამ ორ კვირაში 40,000 კაცის რუსების ხელში ტყვეთ ჩავარდნა გერმანიის ჯარის მარჯვენა ფრთის მოქმედებას თითქმის სულ აქრობს, და გერმანიის სარდლებს იძულებულს ხდის მაშველი რაზმები ჩრდილო ასპარეზიდან გამოიწვიონ და ამნაირათ ძალები მთავარ ფრონტზე შეასუსტონ.

## გერმანია და რუმინია.

„რანნეე უტროს“ გადმოცემით გერმანიამ ულტიმატუმი წაუყენა რუმინიას, რომ თავის ტერიტორიაზე გაატაროს გერმანიის ჯარები, რომლებიც ბესარაბიას გადალახვენ და შავი ზღვისაკენ გზას გაიკაფვენ.

## ბრძოლა განახლდა.

დღემდე მიწყნარებული დარდანელის გასარღვევად დაწყებული ბრძოლა 30 აგვისტოდან ისევ განახლდა მთელი გალიპოლის ნახევარ კუნძულის სიგრძეზე ბრძოლები დაიწყო, რასაც ზღვიდან ხელს უწყობს ფლოტის მოქმედება. ნაპირებზე ახალი ძალები გადაიყვანეს. მოკავშირეების ჯარმა მტრის რამდენიმე სანგრები აიღო და პოზიციის ხაზი რამდენიმეთ წინ წასწია მარჯვე საარტილერიო ცეცხლმა ოსმალების ერთი პოლკი სულ ერთიანათ ჩანთქა.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

## რუსეთი.

### პოლკოვნიკის ჩემოდანი.

კურსკის ვოგზალში ბაგაჟით ვაგონის დატვირთვის დროს ჩემოდანი გადმოვარდა და საშინელი აფეთქება მოხდა. დაიჭრა 7 კაცი. აღმოჩნდა, რომ ჩემოდანი ყუმბარებით იყო სავსე. ერთი აუფეთქებელი ყუმბარაც იპოვეს შიგ. ჩემოდნის პატრონი, რომელმაც განაცხადა პოლკოვნიკი ნეიმანი ვარო, დააპატიმრეს.

### კონფლიქტი.

თ. ლვოვმა სამხედრო მინისტრის ამხანაგს, გენერალ ბელიაევს სთხოვა გააუქმოს ის წესები, რომლის ძალითაც ფრონტზე წამსვლელ ერობათა კავშირის რწმუნებულებს პოლიტიკურ საიმედოების მოწმობას სთხოვენ. გენერალმა ბელიაევმა ლვოვს უპასუხა, რომ ეს — წესები უკვე გაუქმებულიაო. (კ. ს.).

### სათათბიროს დათხოვის წინ.

როგორც პეტროგრადიდან დეპეშით კ. ს. აუწყებენ, სათათბიროს ოპოზიციის დეპუტატები აცხადებენ, რომ სათათბირომ კანონიერებას არ უნდა გადაუხვიოსო. მათი აზრით სათათბიროს დათხოვის საწინააღმდეგო პროტესტი, მხოლოდ იმაში

# გულის პასუხი.

ცხოვრების გზაზე რომ შევდექი
მე მტკიცე რწმენით,
ძმათ მოყვარებას ვქადაქებდი
თავ-გამეტებით;
ცხოვრების მიზნად დავისახე
პირდაპირობა
და მამულს, ენას ძღვნად შევწირე
ყმაწვილ-კაცობა.
და ვფიქრობდი მე, ასეთ გრძნობით
წინ წავდგამდი ფეხს,
ჩემთა თანზრდილთა დახმარებით
ვადიდებდი ერს...
საქვეყნო საქმეს, ძმათ სიყვარულს
თავს შევწირავდი
და სხვა მუშათა შორის მეც თავს
დავისახავდი...
მაგრამ მოვსტყუვდი... მეგობარნი
თანაგრძნობის წილ
შურისძიების ისრის მკვეთრით
გულს მისერავდენ
და სამაცდურო ღიმილით,
საფლავს მითხრიდენ...
თურმე ამათთვის გულწრფელობა
მტრობა ყოფილა,
ჭეშმარიტება ბინძურთ ხელში
სულ დათოვილა!!
სულით მღელვარეს, ეჭვით აღვსილს
გზა გამიძნელდა,
ჩემი ცხოვრების გზის სხივები
შეკრთა, დაბნელდა..
და ვიფიქრე მე, აღმართ გზაზე
სვლით დაქანცულმა,
შორს წავსულიყავ, უცხო მხარეს,
რომ მღელვარე სულს
იქ მოვუპოვო მშვიდობა და
დაკოდილს გულს
იმ მყუდრო არეს კვლავ ეღირსოს
სიამით ძგერა...
მაგრამ უცხო ხმამ ჩამომძახა:
ჭაბუკო! ვერა,
ვერ დასტოვებ სამშობლო მხარეს,
იქ ჭირი უნდა
შენ ღხინადა მუდამ მიგაჩნდეს!!
დაე ეგ გული,
მტკიცე გული, იქვე გიძგერდეს,
და წრფელი სული,
სიყვარულით ამაღლებული
კაცთმოყვარებას დიდ მოძღვრებას
შენ ერს უმღერდეს...
მტერ-მოყვარეთა წინააღმდეგ
ნუ მოშლი მღერას,
ბრმა მძულვარება რას დააკლებს
შენს ბედის წერას?!
დადგება დრო და მოიპვენებ
შრომით დაღლილი,
გინება ქებად შეგეცვლება,
მწარე წარსულიც
წარმოგიდგება სანეტაროდ
წინ გადაშლილი!!.
ვემოწმე იმ ხმას და სიმართლის
დროშა აღვმართე,
პირდაპირობა შრომის მიზნად
კვლავ დავისახე;
სამშობლო მხარეს ფიცი მივეც
აღარ ვუმტყუნო
თუგინდ სიმწარით განვლიო ჩემთ
დღეთ საუკუნო.

**ივერიელი.**

# წერილი ფილიპე ბარბაქაძეს.

(ხავვირაო პატარა ფელეტონი.)

გამარჯობა ჩემს ფილიპეს! კაცო, აკი ვეკითხებოდი ყველას, ე ფილიპე სად დამეკარგა, კაი ხანია მისი არაფერი ისმისთქვა, მაგრამ ვერავინ ვერაფერი მითხრა შენზე; ვიფიქრე, შეიძლება სარნიტარნი ოტრიადში თუ ჩაეწერა, და იქნება ჩემი ფილიპე ქე ვნახო ჩამოპომპოლიკებული, თუ ღმერთმა გადაარჩინა თქვა, მარა შენმა მეგობრებმა სახინო კორტაძემ, და ამირანა სებისკვერაძემ სიცილი დაიწყეს და მითხრეს „სანიტარნი ოტრიადი კაი ხანია ოტპუსკში გაუშვეს და ფილიპეს რაღა უნდოდა იქო“. ბოლოს ქე არ წავიკითხე გაზეთში შენი წერილი და შენი პუტეშესტვიის ამბავი. იმე! მიამა შენუ მომიკვდები, მარა რაფერ მიამა! მადლიდეც მე და ჩემა ღმერთმა შენ ბიჭობას, რო ასეთი სიძვირის დროს პუტეშესტვია მოახერხე და ამბები ჩამოიტანე!

სხვა, ფილიპე ჩემო, მოგადგება ვიღაცა გარიქინებული დედაკაცი, სტაცებს ხელს და შენ რომ ორ აბაზს აძლევ, ხოლოდ იგი სამ აბაზს დაკრავს და შვიდობით; ან ქერა ენაღვლებათ ქმრის ნაშოვარი ფულები! შენი არც მოერიდება და არც ბოდიშს იხდის, თუ რამე უთხარი ვარეს დაგაყრის; ვითომ გაათავებს ლაპარას თუ! ააა, შენც არ მომიკვდე; რა გაბამა ბატონო გალუსტოვის ბუსკანტივით, უნდა გეიქცე მეტი რაღა გზა გაქვს!

წყალტუბოს, აბანოების შესახებ იწერებოდი ამას წინათ, რაცხა ამბავია და გონია კამპანია კიდევს ხალხო, თუ მართალია, მაშინ მართლა ზაკონის პრავილაზე კი მოუწყობს, თვარა დღეს ჩაოხრებულია იქაურობა. რამდენი ხანია მეხვეწება, ჩემი ოჯახობა ეპრასი, მიხთებ წყალტუბოში აბანობაო და გამიშვიო, მარა ისე დაშინებული ვიყავი იქ წასვლით რომ ვერ გავბედე ერთხანს ბოლოს გამიწყრა ღმერთი და ქე არ დავჯერე ქალს!

იმისთანა შენ მტერს, მე რომ იქ სიმწრის დღე დამადგა! ჩვედით, ბატონო, მე და ჩემი ოჯახობა ბარგი-ბარხანით, შეგვიყვანეს ერთ დაგლეჯილ ნომერში, ნაგავით ავსებული იყო, შიგ იდგა ფეხმოტეხილი სტოლი და კეტეტილებით გამოტენილი ტასტი; კედლებზე ჩამოხეული ჩამოკიდებული შპალერი, ჭერი, იატაკი და კედლები დახვრეტილი: ქვეშიდან საძაგელი სუნი ამოდიოდა, კარ — აკოშკებს არც ერთს საკეტავი არ ქონდა, არსად არც ბუხარი არც ქუხნა, ერთხანს მე და ჩემმა ცოლმა ვიგულავეთ გარეთ ეზოში მარა სიბინძურით ყველაფერი ყარს; მერე ავანთეთ სანთელი და დევიგეთ ქვეშაგებელი პოლზე, რადგანაც კუტეტილებისა გვეშინოდა; იმ ღამეს არ დაგვიძინია, ვერც იქ ვიპატივეთ თავი;

უნდა გამოიხატოს, რომ დეპუტატები განსაკუთრებულ სათათბიროებთან უნდა გამოვიდენ. კადეტიბმა და პროგრესისტებმა უკვე გადაწყვიტეს, რომ ხსენებულ სათათბიროებიდან თვისი ფრაქციის წევრები გამოიწვიონ. ერობის ოქტომბრისტები კი ჯერ-ჯერობით რყევაში არიან.

**ვოლოგდის სიეზდი დახურეს.**

ვოლოგდის საკოოპერაციო სიეზდმა უკანასკნელ თავის სხდომაზე „თავისუფლებათა" მოთხოვნის რეზოლიუცია გამოიტანა. ხმის მიცემის დროს ვიცე—გუბერნატორმა სიეზდი დახურულათ გამოაცხადა. კრებამ მაინც რეზოლიუცია მქუხარე ტაშის ცემით მიიღო. (კ. ს.)

**„შავების" საგუბერნიო ერობის კრება.**

კურსკის საგუბერნიო კრებამ ამ მარკოვის სიტყვის შემდეგ მთავრობის გაკიცხვის რეზოლიუცია მიიღო, რომელსაც ის მთავრობას უწუნებს, რომ ის „პალატებს" და იმ ორგანიზაციებს შესაფერი სისასტიკით არ შეხვდა, რომლებიც ქვეყნათ შფოთის დამყარებით ძალა—უფლების ხელში ჩაგდებას ცდილობენ. (კ. ს.)

— კრასნოიარკსში ჟანდარმერიამ ბაპტისტებშორის მასიური ჩხრეკა მოახდინა. ისევ „შავების" რეზოლიუცია როგორც რ. ს. სარატოვიდან ატყობინებენ, რომ რომელივე გუბერნიის მანარქიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ დაადგინა, რომ დეპეშით ითხოვონ ვისგანაც ჯერ არს, რომ სათათბიროს ებრძოლონ; იმ შემთხვევაში კი თუ ქუჩებში არეულობას დაიწყებენ თვითონ „შავები" მიიღებენ ზომებს. (კ. ს.)

## სათათბირო.

როდესაც ოჯახში რამე უბედურება ხდება, ბავშვებს სხვაგან აგზავნიან. ბალებში ხშირათ შეხვდებით მოთამაშე ბავშვებს, რომელთაც სახლში მიცვალებული უდევთ. ერთის შეხედვით ასეთი ზომა, მართლა; ბუნებრივიც არის. უბედურობის პირველ წუთებში მაინც, მუდამ საჭიროა, რომ თავზარდამცემი მოვლენა დაურიდებლათ არ ალიმართოს ბავშვის ნაზ ბუნების წინაშე. მაგრამ არის რაღაც უხერხულობა, რომელსაც ყოველი თქვენგანი უნებლიეთ იგრძნობს ამ წუთში მათ წინაშე. თქვენ გრძნობთ, რომ ამ წუთში, პატარა, ნაზი სული ბავშვისა გამასხარებულია. ასეთ ბავშვებს გვაგონებენ რუსეთის პარლამენტის დეპუტატები. ყოველ სერიოზულ მომენტის დროს, ისინი სხვაგან მიჰყავთ იმ ოჯახიდან, რომელსაც „ტავრიდის სასახლე" ჰქვიან. და ასეთი ფაქტი, არა ერთხელ გამეორებული რუსეთის სახელმწიფო პრაქტიკაში, მუდამ ერთსა და იმავე სურათს გვაგონებს, სახელდობრ, შეწყვეტილ სიმს იმ საკრავისას, რომელიც ეს არის უკრავდა.

„სათათბიროს მოწვევას" ხომ ვრცელი ისტორია აქვს.

ეს არის ისტორია დეკაბრისტებიდან დაწყებული და დათავებული 1905 წლით. მაგრამ არა ნაკლებ ვრცელი ისტორია აქვს „სათათბიროს დათხოვნას". და ამ ისტორიაში წითელი ძაფით ლარათ და ხაზათ ერთი რამ არის გავლებული, რომელზედაც ყველა დეპუტატს უკიდია თვისი კანონმდებელი ხელი. დეპუტატების დათხოვნა შეიძლება სათითაოდ, დეპუტატების დათხოვნა შეიძლება აგრეთვე ნარდათ, ჯოგურადაც.

აი, ის წითელი ხაზი! ქვეყანაზედ არ არსებობს ისეთი პარლამენტი, საიდანაც ცალკე დეპუტატები იმდენჯერ ყოფილიყვნენ დათხოვნილი, როგორც რუსეთის პარლამენტში. და უნდა შევნიშნოთ, რომ რეგლამენტი, რომლის ძალითაც ეს ხდება, მთავრობისაგან არ არის შექმნილი. იგი გამტკიცებულია თვით სათათბიროს პრაქტიკისაგან. თუ ასეა, თუ მიღებულია ერთი დეპუტატის დათხოვნა და სამართალში მიცემაც კი თვით სათათბიროსაგან, რათ უნდა იყოს შეუძლებელი მთელი კრებულის დათხოვნა მთავრობის მიერ. არ არსებობს ქვეყნად ისეთი სულელი მთავრობა, რომელმაც ხუთამდე დათვლა არ იცოდეს. და ამიტომაც, სერიოზულსა და მძიმე წუთებში, მთავრობაც იძულებულია ის ჩაიდინოს მთელი სათათბიროს შესახებ, რასაც სჩადის თვით სათათბირო, ერთი დეპუტატის შესახებ. მაგრამ ყველაზედ მნიშვნელოვანი უფრო ის არის, რომ მომენტის სათანადო შეუფასებლათ მთავრობა ასეთ აქტს არასოდეს არ ახდენს. მას მუდამ ჰყავს ხალხი სათათბიროში და სათათბიროს გარედაც, რომელიც მხარს უჭერს მის ასეთ ნაბიჯს. ასეთი დახმარება კი დიდი ზნეობრივი ძალაა მთავრობისათვის. როდესაც ნაპოლეონმა ხუთასეულის საბჭო გარეკა, ხალხის რისხვისაგან იგი აბატ სიეისმა იხსნა. გაოცებულ წევრებს საბჭოსას მან უთხრა: „წადით სახლში, ამიერიდან ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელსაც ყველაფერი სურს, ყველაფერი იცის და ყველაფერს შესძლებსო", და საბჭო დამორჩილდა ნაპოლეონს. გენიოსი აბატები ჩვენს დროში, იქნება აღარ არიან, მაგრამ რამდენია დიაკვანი პოლიტიკისა, და „პონომარი" რეაქციისა— რომელსაც იმავე ეშხით შეუძლიან ამ სიტყვების თქმა. ბრბოსათვის კი ყველაზე დიდი მნიშვნელობა მოსწრებულ სიტყვას აქვს. რუსულმა სათათბირომ თავისი თავი პარლამენტად ვერ აქცია. არა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა უფლება პასუხის მგებელ სამინისტროს ყოლისა. უტიტულოთაც შეიძლება კაცი ჭეშმარიტი არისტოკრატი იყოს. და რა არის განა სიტყვა „პარლამენტარული", „კონსტიტუციონური" თუ არა ტიტული სახელმწიფოსი. რუსეთს ეს ტიტული არ ჰქონდა და რაკი ეს არ იყო, ვერ მოახერხა, რომ ეღიზარდა თავის თავში და განემტკიცებინა კიდეც გრძნობა საკუთარის ღირსებისა. განა მოქალაქობრივობის ყოველი სახეა დაკანონებული ჩვენს ცხოვრებაში? არსებობს მრავალი ნორმა ურთიერთობისა, მორალი და ეთიკა, რომელიც არალეგალურად სცხოვრობენ ჩვენში და თვით მთავრობაც უწევს მათ ანგარიშს. რამდენი პარლამენტრული ჩვეულებაა, რომელიც თვით პარლამენტში არ შექმნილა და თავისი დასაწყისი პარლამენტის წინა დროებში აქვს. კანონმა მხოლოდ შემდეგ უქმნა მას სანქცია. და სწორედ ეს ჩვეულებებია ნაკლებ განვითარებული რუსეთში. ხალხის წარმომადგენელნი რომ პარლამენტში შევიდნენ, ხელ ცარიელი შევიდნენ. არავითარი ტრადიცია, არავითარი ეთიკა მათ იქ არ შეუტანიათ. მათ იქ მიჰყვეს ხელი მის შექმნას, მაგრამ ამ საქმეში მასწავლებლათ მთავრობა გამოვიდა და მხოლოდ დეპუტატების განდევნა და სათათბიროს დათხოვნა ასწავლა.

**შ. ამირეჯიბი.**

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც დანიშნული იყო 20 სექტემბერს სხვადასხვა საყურადღებო საკითხების განსახილველათ, გადაიდვა 27 ენკენისთვისთვის.

✦ ქუთაისში არსდება ჩვენი ახალგაზდა მგოსნის გალაქტიონ ტაბიძის თაოსნობით ლიტერატორთა წრე. წრეში იმუშავებენ ცნობილი ლიტერატორები. ამ მიზნით ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობას აღძრავენ ამ ახლო მომავალში.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განთიადი"-ს მორიგი მე 13-ე №. ჟურნალში შინაარსიანი წერილებია მოთავსებული.

✦ ახლათ გახსნილი კომერციულ სასწავლებელში განძრახულია გახსნან საანბანო განყოფილება და მეორე კლასი, თუ საკმაო მთხოვნელები იქნებიან. გაიხსნება აგრეთვე პარალელური კლასებიც, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

✦ ქ. ხარკოვში გადასახლებული 55 აპარელი, მთავრობის ნებართვით, სამშობლოში ბრუნდებიან.

✦ ამ მოკლე ხანში ახალგაზდა მგოსან გ. ლაპიძე გამართავს სალიტერატურო-მუსიკალურ დრამატიულ იმორისტულ საღამოს. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

✦ ქუთაისში ახლად დაარსებული „სინათლის" საზოგადოების მიერ გახსნილ ქალთა სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიაში სწავლა 9 ეკენისთვეს დაიწყება.

✦ ქუთაისის საზნაურო გიმნაზიის მე 6 კლასის მოსწავლე ივანე ალექსანდრეს ძე კანდელაკი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას დაჰკარგვია ქართული გიმნაზიის ექვსი კლასის მოწმობა № 482 მპოვნელთ სთხოვენ გადასცეს ლადო მაჭავარიანს „სამშობლოს" რედაქციაში რისთვისაც მიიღებს შესაფერ გასამჯელოს.

## დამაკვირდი.

უნდა კანონი მორჩილებდეს ადამიანს და არა ადამიანი კანონს, რადგან პირველი მეორისთვისაა შექმნილი და არა მეორე პირველისათვის.

——

მეტის-მეტი წვალება, კვესსაც კი ცეცხლებს აურევინებს.

——

ბავშს არ აწყენინო, რადგან არ იცი შემდეგში რის შომქმედი კაცი გამოდგება.

——

თუ არ გინდა ოჯახი დაგექცეს, რძლები არ გაამრავლო.

——

თუ ქალები გიყვარს, ცოლი არ შეირთო, მხოლოდ თუ გწადიან შეგძულდეს ქალებიც და შენი თავიც,—ცოლი შეირთე.

——

ქალსა და კაცს შორის ის განსხვავებაა, რაც მარტსა და მაისს შორის.

——

ოთხი რამეა ღრმა: სიბრძნე, ფიქრი, სწავლა, და ზღვა.

——

ოთხი რამ გიყვარდეთ: სამშობლო, თავისუფლება, სიმართლე და სწავლა.

——

ოთხი რამ მოინელებს ადამიანს უდროოდ: ქონებისაგან დაცემა, ჯავრი, ავადმყოფობა, კაპასი დედაკაცი.

——

ოთხი რამ მეფობს ადამიანზე სიკვდილს შემდეგ: მიწა, მატლები, წყვდიადი, მარტოობა.

——

დარიგება ბრიყვს ეწყინება, ბრძენს კი იამება.

——

ქება უგუნურს გაუხარდება, ბრძენს-კი დააფიქრებს.

——

ერთი ბრძანებს და ათასები მორჩილებენ!..

——

. . . . .
. . . . .
. . . . .

——

უმჯობესია: ბრძენი ლაპარაკობდეს და ბრიყვები-კი უსმენდნენ.

**გ. ფირხაძე.**

## თბილისის ამბები.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

**წერილი პირველი.**

ამ ჟამად თბილისში საერთოთ ყურადღებას იპყრობს, ეგრედ წოდებული, **კონფლიქტი** ანუ, ჩვენებურად რო ვსთქვათ, განხეთქილება, რომელიც ჩამოვარდა ქალაქის გამგეობასა და ქალაქის პოლიციის შორის. ამ განხეთქილებამ ხსენებულ ორ დაწესებულების შორის რამდენიმე თვის წინად იჩინა თავი. მოგეხსენებათ, წელს წყალდიდობამ და ნიაღვრებმა რა რიგ ააოხრა ჩვენი ქვეყანა. ულმობელმა ბუნებამ იმ ჟამად არც თბილისი დასტოვა უყურადღებოდ: მრავალი ქუჩა, განსაკუთრებით რიყესა, ვერასა, მთაწმინდასა და სხვა უბნებში სილითა და ქვიშით აავსო ნიაღვრებმა. ქალაქის გამგეობა ჩვეულებისამებრ ყურწაგდებული იყო და განაპირა ქუჩების გასუფთავება აზრათაც არ მოსდიოდა; ხვეწნა მუდარა და საჩივარი გასაწყლებულ ხალხისა-გვიშველეთ, გაგვისუფთავეთ ქუჩებიო უყურადღებოდ რჩებოდა.

აი, სწორედ მაშინ პოლიცმეისტერმა **ბნ-მა** ზდანოვსკიმ გუბერნატორს ოფიციალური ქაღალდი მიართვა, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობას არ ასრულებს, ქუჩებს არ ასუფთავებს და ძალა დაატანეთ, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, თორემ ისე შეუძლებელია ქალაქში მიმოსვლაო. გუბერნატორის ძალდატანებით გამგეობამ ქუჩები-კი დაასუფთავა, მაგრამ ქალაქის მოურავმა ა. ი, ხატისოვმა არ ისაკადრისა პოლიცმეისტრის საქციელი და თავისის მხრივ გუბერნატორს საჩივარი მიართვა, რომელშიაც ამბობ-

აბანოში შესვლა ხომ შემეზარა, როგორც იგი ორჯერ კი ჩავედი, თვარა მერე არ გავკარებივარ. კაცო, ან კი გული რავა გიზამდა იქ ჩასვლას, როცა ქარგათ მყოფი, ავათმყოფი, დუგუნებიანი, ბღერიანი, მუწუკებიანი ყველა ერთათ ჰყუმპალობენ შიგ. მორჩენის მაგიერ, იქინეი ქეიშნის კაცი რაცხა ჰირს და უბედურობას. საჭმელ-სასმელი ხომ მამასისხლათ იყიდება, თან ჰაერიც მოწამლულია და ჰენჰყოები ყვაჭიჭებითაა ავსებული.

სხვა, ძმაო ფილიპე, ღემნაზიაში რო გყავდა შესაყვანი ერთი ბოვში, ნეტეი რა ქენი? ბარე ორჯერ მეც კი შევიხედე შიგ, ჩემს მეზობელს ღვდელს იაკინთე ჯანჯუხაძეს ყავდა ერთი ბავში შესაყვანი იქ, ბევრი იპოტიალა, მარა შენც არ მომიკვდე ვერაფერი უხერხა; რაღაცა კონკურცია არის და იმაში ვერ გევიდაო. წრეულს მაინც დუდგა ხალხი მიაწყდა ამ ღემნაზიას, ნამეტურ ქალები; ყველას მოეყვანა თითო ბავში შესაყვანათ და ელრიჯებოდენ უჩიტლებს, მარა ე უჩიტლები რო გარბოდენ ფშველივით, არავის ეკარებოდენ ისე შეშინებული და დაფთხალი, იყვენ, ამან გამაკვირა, კაცო, თუ მაინცადამაინც კაი მკერდიან ქალს ქე მოუბრუნდებოდენ და ეტყოდენ რაცხას მათ შეკითხვაზე. ბევრი იკვანწა მამა იაკინთემ, მარა ვერ მიიკარია ერთი სიტყვის საკითხავათ ვერც ერთი უჩიტელი. გამობრუნდა უკან და ჩეილაპარაკა: „რა კაია ახლა მეც რო ქალი ვიყო და კაი მკერდი მომცაო! იქნება მაშინ მომიხედონ უკანო". როგორც იქნა მესამე საათზე ისპექტორმა მომიტანა ქაღალდი და მიაკრა კედელზე, მიესია ხალხი წასაკითხავათ ვისი ბოვშია მიღებულიო. სულ 50-ში თუ 60-ში 25 ბოვში მიეღოთ, პრიგოტოვიტელ კლასში, დანარჩენებს სულ ვარი უთხრეს და ზოგი კატინტატათ ჩარიცხეს; მეათე თუ მეთორმეტე კატინტატათ მოხვდა იაკინთე ხუცის ბოვშიც, მარა მას როდის ერგება ან ვინ დაუცლის ადგილს. ყურებ ჩაიოყრილი იაკინთე წამოვიდა სახლში დალონებული. (კიდევ მინდოდა სხვა რამე ამბებიც მომეწერა, ჩემო ფილიპე, მარა ლედახტორი წყრება ქაღალდი ძვირია არ იშოვებაო და ეს წერილიც დიდია თვარა მატს რაფერ დავბეჭდავო. ამიტომ პაკა დოსვიდანია, ჩემო ფილიპე და ნურას უკაცრავათ.

**შენი მეგობარი იპოლიტე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რომ პოლიცმეისტერს, როგორც ჩვენზე უფრო დაბალ მოსამსახურეს, ნება არ აქვს ქალაქის გამგეობის მოქმედებაში ჩაერიოს, იგი უდიერად მოიხსენიოს და სხ. და ამიტომ ეხლავე დატუქსეთ იგი, რათა შემდეგშიაც ასეთი რა აღარ გაბედოს.

განვლო ჟამმა და, როგორც ეხლა ჩანს, გუბერნატორს არა თუ არ დაუტუქსავს პოლიცმეისტერი, არამედ, ვგონებ, მადლობაც უთქვამს მისთვის.

გასულ ივლისის შუა რიცხვებში, როგორც ვიცით, თფილისში ხოლერამ იჩინა თავი. ქალაქის გამგეობამ საყოველთაოდ გამოაცხადა, რომ ახლანდელ ხოლერას თბილისში ეპიდემიური ხასიათი არ აქვს და ჩქარა ჩაქრებაო, მაგრამ, რაც დღე გადის, ხოლერა თანდათან მატულობს. ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში სამოცზე მეტი ხოლერიანი იმყოფება და 40-50 კაცი უკვე გარდაიცვალა. ცხადია, სენის გავრცელებასთან მჭიდრო კავშირი აქვს ქალაქის უსუფთაობას, რასაც ჩვეულებრივად ნაკლებ ყურადღებას აქცევს გამგეობა.

პოლიცმეისტერი ახლაც აუტყდა ქალაქის გამგეობას და ქაღალდს ქაღალდზე უგზავნის გუბერნატორს, რომლებშიაც სამართლიანად აღნიშნავს გამგეობის უმოქმედობას, რის წყალობითაც ეპიდემია ლამის მთელ ქალაქს მოედვას. ამის დასამტკიცებლად ბ-ნი პოლიცმეისტერი თავისს ქაღალდებს თან აყოლებს პოლიციის მიერ შეყენებულ ოქმებს გამგეობის უმოქმედობაზე.

ცხადია, პოლიცმეისტრის ახირება უნდა მიეწეროს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის გენ.-ლეიტ. ვოლსკის ჩარევა საქალაქო საქმეებში. გენერალმა ვოლსკიმ პირველად გააფთხილა გამგეობა, რომ პირველ აგვისტომდე უთუოდ დასუფთავებული იყოს მთელი თფილისიო. მეორეთ კიდევ დაუთვალიერებია მას ქალაქის სხვადასხვა უბანი და ახლა პირდაპირ ემუქრება ქალაქის გამგეობას: მიუხედავად ჩემი ბრძანებისა, ქალაქი ისევ სიბინძურით არის მოცული და, თუ დაუყონებლივ ფიცხელი ღონისძიება არ გიხმარიათ, კავკასიის ჯარების მთავარ სარდალს მოვახსენებო.

გამგეობამ ქალაქის საბჭოს შეჩივლა, რომ ჩვენ ყოველი ღონე ვიღონეთ, რაც კი საჭირო იყო; ხოლერაც თანდათან კლებულობს; ერთი სიტყვით, ყველაფერი თავისს წესსა და რიგზეა, მაგრამ მაინც უსამართლოდ სთელენ ჩვენს პატიოსანს სახელსო.

გამგეობის წევრმა ბ-ნმა ათაბეგოვმა ისიც კი განაცხადა ქალაქის საბჭოს კრებაზე, საცა ეს საკითხი ირჩეოდა, რომ გამგეობაში ისეთი კაცები არ არიან, რომელნიც ან ზემოდან მუქარამ შეაშინოს და ან ქვემოდან საყვედურმაო. როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოს უმეტესობამაც კვერი დაუკრა გამგეობას და დაადგინა, რომ რაც რამ საჭირო იყო, ყველაფერი გაუკეთებია გამგეობას და, მაშასადამე, მუქარას და საყვედურს ადგილი არ აქვს. ვნახოთ, რა იქნება.

**ლ. დევბანძე.**

## დაბა-სოფელი.

სოფ. დღნორისა (დერჩის საზ.) ეს სოფელი ქუთაისიდან 40 ვერსის მანძილზე მდებარეობს. მიმოსვლა დილიჟანებით სწარმოებს. ამ სოფელში 300-მდი მოსახლეა. უმცირესობა აზნაურობა, უმრავლესობა კი გლეხობა. კულტურულად ეს სოფელი არაა ჩამორჩენილი სხვა სოფლებს. არსებობს აქ ორკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელშიაც 200-მდი მოსწავლე სწავლობს. ჟურნალ-გაზეთების კითხვას ხალხი ძალიან მისდევს, მაგრამ რა გამოვიდა მიღება მათი ვერ არის კარგათ მოწყობილი. ხშირად იკარგება გაზეთები სადგურ მექვენაში, სადაც ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაა. ბევრსაც სურს გამოწერა ჟურნალ-გაზეთებისა, მაგრამ ყველას ეშინია-ტყვილად ვერ მივიღებ და ფული რად უნდა დავკარგოვო, ამბობენ. მივაქცევთ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსების ყურადღებას ამ გარემოებაზე და იმედი გვაქვს ჯეროვან განკარგულებას მოახდენენ, რომ არ იკარგებოდეს კორესპონდენციები და ჟურნალ-გაზეთები. საჭიროა ამოირჩეს ისეთი სანდო პირი, რომელიც მიიღებს ამანათებს სადგურ მექვენაზე და გადასცემს დანიშნულებისამებრ სოფლებში.

**მასწ. ევგრაფი ახათიანი.**

## პასუხათ ბ-ნ უცნობს.

(კომერციული სასწავლებლისა და ბ-ნ კოტილევსკის კანდიდატურის შესახებ).

დასასრული იხ. „სამშობლო“ № 169.

სიცრუეა ისიც რომ ქართული ენა ზედმეტ ხორცათ არის დაყენებულიო და წარმოადგენს მეცამეტე გოჭსაო ეს მით მტკიცდებაო, ბრძანებს ბ-ნი უცნობი, რომ არცერთ ეგზამენზე კოტილევსკი არ ესწრებოდაო. ვითომ ამით რა უნდა ბ-ნ უცნობს ბრძანოს? განა შესაძლებელია ერთმა ადამიანმა ერთსა და იმავე დროს ორ დაწესებულებაში ყველა ეგზამენს დაესწროს? თქვენ გგონიათ მარტო ქართულ ენის ეგზამენებს არ ესწრებოდა კოტილევსკი?! აბა სხვა საგნებიც მეცამეტე გოჭი ყოფილა და ბ-ნი უცნობი რასა სწუხს?! უცნობი ბრძანებს: „ქართული ენის გაკვეთილებზე ბ-ნი კოტილევსკი ეკონომიას აკეთებდა და რამდენსამე კლასს ერთად უყრიდა თავსო, როდის და რა ჟამს იყო ეს ზღაპარ?! ჰო, მართალია, პარალელურ კლასს შეეურთებდენ ხოლმე, მაგრამ ორი მერვე კლასის ერთად შეერთება გამოიწვია მოწაფეების სიცოტავემ; ორივე კლასიდამ სულ 26 მოწაფე შესდგა. მაშასადამე, რა საჭირო იყო ცალცალკე 13—13 მოწაფისათვის გაკვეთილები, როდესაც ერთსა და იმავე პროგრამას გადიოდენ როგორც ძირითად, ისე პარალელურში? ეს ეკონომიის აკეთების გულისათვის არ იყო და არც არაოდეს ბ-ნ კოტილევსკის ეკონომია არ გაუწევია, როცა საჭირო იყო. მაგალითად, აილეთ, ამ სამი წლის წინათ რა იყო ჩვენი ფიზიკური კაბინეტი და რა არის ახლა, აილეთ სამი წლის წინათ რა იყო გიმნაზიის სამკითხველო და რა არის ახლა. აბა, თუ რომელიმე მასწავლებელთაგანი იტყვის, რომ მას მოეთხოვოს, რაც საჭირო იყო, და მას დაუყონებლივ არ აესრულებიოს, რაც უნდა ღირებულიყო იგი.

ახლა გადავიდეთ ქართული გალობის შესახებ. ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა, როდის და რომელ წელში იყო კლასიკურ გიმნაზიაში ქართული გალობა, რომ ახლა კოტილევსკის შემოეღო?! თქვენ, ბატონო უცნობო, რისთვის იმათ არ უსაყვედურებთ ქართული გალობის სწავლებას, სადაც უფრო ადვილად შეიძლება დაყენება?! თქვენ უეჭველად სიზმარში უნდა ხედავდეთ რაღაც უცნაურობას, თორემ ნუთუ არ იცით, რომ კლასიკური გიმნაზია მთავრობისაა და არა კოტილევსკის საკუთრება, განა კოტილევსკი წინააღმდეგი იქნებოდა ქართული გალობისა? და როდის დაუშალა მან გალობის მასწავლებელს, ნუ ასწავლი ქართულ გალობასო, თუ კი მასწავლებელი მოინდომებდა?! —

ახლა გადავიდეთ, იმაზე თუ რა დამოკიდებულება ქონდა კოტილევსკის მასწავლებლებთან. ბ-ნო უცნობო, თქვენ ხედავდით თუ რა დამოკიდებულება ქონდა? სამწუხაროა, რომ კარგათ ვერ დაგინახავთ. რანაირი დამოკიდებულება გნებავდათ, ბ-ნო უცნობო, მრავალჟამიერი ხომ არ გნებავდათ შემოგვეძახა?!

ბ-ნი უცნობი ბრძანებს: ორიოდესთან ქონდა დამოკიდებულება ბ-ნ კოტილევსკის, თორემ სხვებს იგი უცქეროდა, როგორც უბრალო მოხელეებსო. ეს ბრალდება მტკნარი სიცრუეა და მეტი არაფერი. არა, სწორეთ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია თავისი მოქცევით ბ-მა კოტილევსკიმ, ყველასთან იგი თანასწორი იყო, ყველასთან თავმდაბალი, არ იკარებდა ცალ-ცალკე ჯგუფს და არ უსმენდა ერთმანეთის დაბეზღებას და ქიშპობას. ამ მხრით ყველანი დაშინებული იყვნენ და ვერ ბედავდენ მას, რასაც ამ სამი წლის წინათ სჩადიოდენ კუტინოვიჩები და სხვები და როგორც უნდოდათ, ისე გაქონდათ და გამოქონდათ; ქართველი მასწავლებლები მაშინ მაგიდის ქვეშ ძვრებოდენ, და დღეს, როდესაც ცოტათი წელი წამოვმართეთ, ისიც ისეთი მოხელის წყალობით, როგორიც ბ-ნი კოტილევსკი იყო, ახლა აღარ მოგვწონს, იგი ცუდია, იგი ლაქუცაა, იგი დევნის ქართველებს. ერთი მითხარით, ბ-ნო უცნობო, ნუ თუ თქვენ დევნათ მიგაჩნიათ ის, რომ ამდენ ქართველს მან ადგილი მისცა? ნუ დაგვავიწყდებათ, რომ სამღრთო სჯულის მასწავლებლათ მეორე მღვდელი იყო საჭირო და ვინ იყო წარმოდგენილი, ხოლო კოტილევსკიმ ვის მისცა ეს ადგილი?

რამდენი სხვები გადმოიყვანა თავისთავთან და დღეს ორი წილი მასწავლებლებისა ქართველებია კლასიკურ სავაჟო გიმნაზიაში. ქალთა გიმნაზიაში ხომ თითქმის, ქართველები არიან. ეს ყველა ზემო აღნიშნული ფაქტი განა კოტილევსკის ორგულობას, დაუდევრობას ამტკიცებს და ამნაირი კაცი ჩვენგან დასაგმობია?!

თუ კარგათ დაუფიქრდებით საქმეს, ბ-ნი კოტილევსკი იმისათვის კი არ გადაუყენებიათ სამსახურიდან, რასაც ბ-ნი უცნობი და სხვანი ფიქრობენ. ეს მხოლოდ მიზეზი იყო, თუ ვიგრძნობთ კოტილევსკი სწორედ მსხვერპლი შეიქნა ქართველი საზოგადოების ზედმეტი ერთგულებისა და მაღლა დაყენებისათვის. ამას თვით გიმნაზიაში ზოგიერთი მოსამსახურეც გრძნობდა და უღვერდა მას, მაგრამ აქაც კოტილევსკი თავისებურ სიდიადით გამოიხედებოდა და ყურადღებასაც არ აქცევდა. პედაგოგიურ საბჭოში რაც უნდოდა ის გაქონდა, დიახ, რაც უნდოდა თავის სასარგებლოთ გაქონდა?! სირცხვილი არ არის, რომ ვუსაყვედუროთ ის, რისთვისაც და ვისთვისაც იგი თავგამოდებული იყო? ცოტა ჯერ გითქვამთ თქვენ, ქართველო მასწავლებლებო, რომ „შენი ჭირიმე რა კაცი ხარო“. რამდენი ქართველი დედ-მამის ცრემლი შემშრალა, გული გამთბარა კოტილევსკის მათ სასარგებლოთ მოქცევისათვის. აბა მიჩვენეთ, მიმითითეთ რომელიმე მშობელზე და მოწაფეზე, რომ კოტილევსკის არ აღმერთებდა და პატივს არ სცემდა და ეს პატივისცემა ნამდვილი წრფელი გულით იყო გამოწვეული. დღეს, ბ-ნი უცნობის აზრით, კოტილევსკი ერთი იმ უბრალო დირექტორთაგანია, რომლებიც ბევრი მოიპოვებიან, ამასთან უნიჭო პედაგოგი. დამიხედეთ უცნობის ნიჭს, პირადი ანგარიშებით გამოჭვალულს!

ბ-ნი უცნობი დაებდღვნა საქმის გაუცნობლად ბ-ნ [illegible] მივარდა დათეშიძეს. [illegible] კოტილევსკი იმიტომ, რომ [illegible] შიძემ კოტილევსკის კანდიდატურა გაიყვანა.

რამდენათ უნდა დაწვრილმანდეს კაცი რომ შეეხოს ადამიანის პირადობას, შეეხოს მის სწავლა-განათლებას და ამბობდეს: „რაჟ. თათეშიძე „აქტივს“ და „პასივს“ არ გასცილებიაო. რა საკადრისია ეს?

თქვენ კი, ბ-ნო უცნობო, როგორც გეტყობათ დიპლომიანი უნდა იყოთ, გზა დაგკარგვიათ და დიპლომს ველარ უშველია თქვენთვის. ეცადეთ მაინც „აქტივი“ და „პასივი“ შეისწავლოთ, რომ კომერციული სასწავლებლის თუ არა, ქუთაისის მომავალი ტრამვაის დირექტორობა მაინც მოგცენ.

**ნაცნობი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის სრული პასუხის მგებლობის ქვეშ. რედაქცია ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ობიექტიურათ იქცევა და მწერლობაში ცნობილ პირებს საშუალებას აძლევს ხოლმე გამოსთქვას თავისი შეხედულება.

ჩვენი აზრი კი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქუთაისის კომერციულ სასწავლებლის უფროსად ნათლად გამოვსთქვით ჯერ ისევ **აპრილშივე** (იხ. „სამშობლო“ № 54.)

**რედ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

# დიდი იაფი ვაჭრობა

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50% დან 75%-დე დაკლებულია.**

თვ. — პატივისცემით დ. ?. ბახტაძე.

## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

**გამოვიდა და იყიდება** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**

შედგენილი **ს. რ. ვორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

# ―| აბანო. |―

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი შიიდება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება სადამოობით.

თ.